04/10/2024

MES 8 24 0001269892

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი, 20/09/2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
დასრულების დრო: 16:25 საათი
სხდომის თავმჯდომარე: ზურაბ ორჯონიკიძე
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 20 სექტემბერს**.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **ზურაბ ორჯონიკიძე**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **დავით ლეშკაშელი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **მამუკა ხუსკივაძე**- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

4. **მიხეილ გურგენიძე**- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
5. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **სერგო ჭელიძე**- შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
7. **ქრისტინა რზგოევა**- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
8. **გაიანე სიმონია**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
9. **კონსტანტინე სირბილაძე**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე**- ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი**- სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. **ივანე ჯაგოდნიშვილი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **ემილ ავდალიანი**- შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **სალომე კუჭუხიძე**- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
15. **თამარ იოსელიანი**- შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოსმოწვეული წევრები:

1. **გია ლობჟანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. **ჯილდა ჭეიშვილი -** საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
4. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **კახაბერ ვანიშვილი** -შპს "მედ-დიაგნოსტიკის" სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
6. **დავით თოთაძე -** შპს „ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
7. **ზვიად კირტავა** -შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;
8. **ივანე ჩხაიძე** -კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

9. **ხათუნა ზალდასტანიშვილი**- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
10. **დავით კობეშავიძე**- შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
11. **ნათია სხვიტარიძე**- სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
12. **ნინო შარიქაძე** - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
2. **ქეთევან პავლიაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. შალვა ჭკადუა - უნივერსიტეტის რექტორი
2. ირმა შიოშვილი - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
3. ნუნუ გელდიაშვილი - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
4. სოლომონ რამაზაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
5. მზია მაისურაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
6. სალომე თათულიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
7. ლევან შავაძე - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
8. თამარ თამარაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი
9. ნინო მოდებაძე - პროფესორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
10. შორენა ლაზვიაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
11. ია ჯიმშიტაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
12. მზია ღაღოლიშვილი - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
13. ეკატერინე ნახუცრიშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
14. ნათია გაბაშვილი - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
15. თამარ ასლანიშვილი - ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი
16. ნანა რინკიაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
17. თენგიზ კუკუნაშვილი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი
18. მაგდა დავითაშვილი - პროფესორი, პროგრამების კოორდინატორი

19. ნინო კახაშვილი - აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელი
20. მანანა კევლიშვილი - პროფესორი, სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის და ინოვაციების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი
21. თენგიზ სიმაშვილი - პროფესორი, კავკასიის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი
22. ნანა ყარაულაშვილი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

1. გოჩა თუთბერიძე - რექტორი;
2. სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
3. ნინო ტალიაშვილი - ვიცე - რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;
4. თათია ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. თამარ პერტაია - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
6. თინათინ გოგნაძე - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. თეონა გრიგოლაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. პანტელის იპსილანტის Pantelis Ypsilantis **I საკითხი**;
2. დავით მახვილაძე **I საკითხი**;
3. თინათინ გაბრიჩიძე **I საკითხი**;
4. ჟუჟა ხაჭაპურიძე **I საკითხი**;
5. ეკატერინე ბაკარაძე **I საკითხი**;
6. ნინო ლიპარტია **I საკითხი**;
7. ნინო ჯავახიშვილი **I საკითხი**;
8. ვაიდოთას ვილიუნას (Vaidotas Viliūnas) **II საკითხი;**
9. სალმა სოუსი (Salma Soussi) **II საკითხი;**
10. ქეთევან აფთარაშვილი **II საკითხი;**
11. ია ნაცვლიშვილი **II საკითხი;**
12. ხათუნა საგანელიძე **II საკითხი;**
13. თამარ ბერიშვილი **II საკითხი;**
14. ბექა ბენდელიანი **II საკითხი;**

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთანმიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, პანტელის იპსილანტისი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფმა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიიღო არგუმენტირებული პოზიცია, რომლის საფუძველზე ერთ რეკომენდაციაში შეიტანა მცირედი ცვლილება, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები უცვლელი დარჩა. მისი თქმით, უნივერსიტეტი აღნიშნავდა, რომ რეკომენდაციების ერთ ნაწილს ექსპერტთა მხრიდან სჭირდებოდა ხელახალი გადახედვა და დამუშავება, ხოლო მეორე ნაწილს იზიარებდა და უკვე დაიწყო მათზე მუშაობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის თქმით, ყველა მიმდინარე პროცესი შესაბამისობაშია კანონთან და ექსპერტთა ჯგუფი მათ ამაში ეთანხმება, თუმცა გაცემული რეკომენდაციები მიმართული იყო დაწესებულების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას აქვს შესაძლებლობა, რომ გააუმჯობესოს პორტფოლიო და ის უნარები, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესის უკეთ წარმართვაში დაეხმარება. ასევე, უნდა მოხდეს კვლევის შედეგების კომერციალიზაცია. ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმას. დაწესებულების სტრატეგია უნდა იყოს მეტად ორიენტირებული სტრატეგიული მიზნების დაორგანიზებაზე. ამჟამად ის ფრაგმენტირებულია. ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველია უნივერსიტეტის სურვილი, რომ უფრო აქტიური იყოს საერთაშორისო ღონისძიებებში და შესაბამისად, საერთაშორისო ასპარეზზე უნივერსიტეტმა ცხადად უნდა წარმოაჩინოს თავისი სტრატეგია. ასევე, ერთ-ერთი გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის სტრუქტურას. დაწესებულების სტრუქტურა შეესაბამებოდა არსებულ კანონმდებლობას, თუმცა რეკომენდაციის შინაარსი ორიენტირებული იყო ადამიანური რესურსის მეტად განვითარებაზე. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება უნივერსიტეტს დაეხმარება სტრატეგიული პრიორიტეტების მიღწევაში. უნივერსიტეტის მიმართ გაცემული ეს რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის ხელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაუმჯობესებას და ასევე, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის, შიდა აუდიტის სამსახურების გაუმჯობესების პრიორიტეტიზირებას.

ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ფაკულტეტების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გაძლიერებას. ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, უნივერსიტეტის ბიუჯეტი უნდა ნაწილდებოდეს ფაკულტეტებზე, რათა მათ მოახერხონ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. ამჟამად უნივერსიტეტში ეს პრაქტიკა არ არსებობს და ამგვარად გაიცა რეკომენდაცია.

ასევე, რეკომენდებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში ცვლილების შეტანა. მისი თქმით, ხარისხის უზრუნველყოფა ფუნქციონირებს დაწესებულებისა და ფაკულტეტის დონეზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა უნივერსიტეტში PDCA ციკლის სრულყოფილად განხორციელების პრაქტიკა. შესაბამისად, რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის სერვისების გაუმჯობესებასა და PDCA ციკლთან შესაბამისობის დამყარებას.

რეკომენდებული იყო პროგრამებთან მიმართებაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა. ეს რეკომენდაცია პირდაპირ კავშირში იყო უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალისთვის ჩასატარებელ ტრენინგთან და ზოგადად გაცემული რეკომენდაციები არის ერთმანეთთან ჯაჭვურად დაკავშირებული. პანტელის იპსილანტისის თქმით, შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად უნდა მოიცავდეს ყველა არსებით პირობას, რათა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად ჩაითვალოს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მომუშავე პერსონალის გადამზადებას.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საკითხს. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის დაწესებულებას სჭირდება უფრო მეტად კომპეტენტური და ინგლისური ენის მცოდნე თანამშრომლები.

ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას. კვლევითი კომპონენტის გაძლიერება უნდა მოხდეს პროდუქტიულობის გაზრდითა და პროგრამის მიზნებში კვლევის ელემენტის ინტეგრირებით. ასევე, დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს უნდა მოეთხოვებოდეთ სამეცნიერო პუბლიკაციების ინგლისურ ენაზე გამოქვეყნება, საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობა, რაც გაზრდის უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაციას.
ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებთ, რეკომენდებული იყო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ახალი სივრცეები დაწესებულებაში. ასევე, ვენახებისთვის განკუთვნილი მინდვრები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთ ადგილას, რომელიც გამოიყენება სწავლებისათვის, საჭიროა არსებობდეს შენობა, რომელშიც სველი წერტილები იქნება განთავსებული, ხელსაბანი. საკლასო ოთახები არ იყო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, რაც საჭიროა თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოსაყენებლად (მაგალითად სიმულაციური სწავლებისთვის). ასევე, საჭიროა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ბიბლიოთეკით წვდომის უზრუნველყოფა.
პანტელის იპსილანტისმა ხაზი გაუსვა სამოქმედო გეგმასა და აქტივობებზე მორგებული ბიუჯეტის არსებობას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა ბევრი რეკომენდაცია გასცა დაწესებულების მიმართ, რომელიც არ ნიშნავდა იმას, რომ უნივერსიტეტი დაბალი ხარისხის განათლების მიწოდებას ახდენდა. რეკომენდაციები გაიცა მხოლოდ უნივერსიტეტის გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ 2018 წლიდან მოყოლებული, განსაკუთრებით ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ძირითადი კორპუსი გარემონტებულია და აღჭურვილია საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის განსახორციელებელი საჭირო ინვენტარით. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე მიმდინარეობს მეორე კორპუსის ინფრასტრუქტურული პროექტის სრული რეაბილიტაცია. თანამშრომლები და დაინტერესებული მხარეები კარგად აცნობიერებენ უნივერსიტეტს ფუნქციას და როლს. მისი თქმით, მევენახეობა - მეღვინეობის პროგრამა საკმაოდ განვითარებულია დაწესებულებაში. შესაბამისად, ამ პროგრამის განვითარების კუთხით, უნივერსიტეტს კავშირი აქვს უმსხვილეს სამეწარმეო საზოგადოებებთან. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმი, თუმცა პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ეს საკითხი ექსპერტებისთვის წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთ წელთან მიმართებით და მთლიან სისტემას ვერ ასახავდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავი ანთი პოზიცია.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, შალვა ჭკადუა მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ სტანდარტში სტრატეგიულ განვითარებასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით SWOT ანალიზის ჩატარების გარეშე სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა და საგანგებო გეგმის მომზადება ვერ ხდება. სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების შესრულებას ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი. ამ უკანასკნელის მიერ შედგენილი დასკვნა კი განიხილება აკადემიურ საბჭოზე. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს SWOT ანალიზთან და სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არანაირი კითხვა არ დასმულა. დაწესებულება SWOT ანალიზის დოკუმენტს განიხილავს შიდა მოხმარების დოკუმენტად, რომელიც განაცხადს თან არ ერთვოდა.
მეოთხე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებს დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს. შრომითი კოდექსის 2020 წლის ცვლილებების ასახვა შრომით ხელშეკრულებებში არ უკავშირდებოდა დამსაქმებლებთან ინფორმირების, მათ მიერ მოვალეობის განსაზღვრისა და იმ ფუნქციების ნაწილს, რაც ხელშეკრულებებში ისახება. ექსპერტებმა ნახეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შაბლონი პერსონალური მონაცემთა დაცვის მიზნით, თუმცა შემდეგ

ექსპერტებს უნივერსიტეტმა გაუზიარა თითოეული დასაქმებულის შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად იყო მოცემული დასაქმებულის უფლება - მოვალეობები. გარდა ხელშეკრულებისა, ეს უკანასკნელი გაწერილია დაწესებულების დებულებებში.
შალვა ჭკადუამ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საცდელ ნაკვეთში ერთ ჰექტარზე გაშენებულია სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, რომლის ნახვის საშუალება ექსპერტებს ჰქონდათ. 3 წლის შემდეგ, წელს პირველად დაიწურება ღვინო უნივერსიტეტის მარანში, სადაც სტუდენტები სწავლობენ. ეს არის სასწავლო და კვლევითი პროცესებისთვის განკუთვნილი. შესაბამისად, გაუგებარია თუ რატომ დაიწერა უარყოფითი შეფასება დასკვნაში ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე სპექტრომეტრებით, კერძოდ, გაზური და სითხური სპექტრომეტრებით. გარდა ამისა, დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმეს შესაბამის კომპანიასთან ატომურ აფსტროფციული სპექტრომეტრის შესყიდვის მიზნით, რომელიც 150 000 ლარი ღირს.
უნივერსიტეტში არსებობს თანამედროვე კომპიუტერებით, ჭკვიანი დაფებითა და პროექტორებით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები, ნიადაგის კვლევის ლაბორატორია, რომლის ნახვის შესაძლებლობა ექსპერტებს ვიზიტის დროს ჰქონდათ. შესაბამისად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ექსპერტების მოსაზრება, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ინფრასტრუქტურა განახლებას საჭიროებს.
უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ნუნუ გელდიაშვილმა, 6.2 და 6.3 რეკომენდაციებთან მიმართებით განმარტება გააკეთა. 6.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სამი სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების სადოქტორო პროგრამამ ახალ სტანდარტებთან მიმართებით წინა წელს გაიარა აკრედიტაცია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ძველი პროგრამის დოქტორანტმა, რომელმაც დისერტაცია ახლა დაიცვა, მას უკვე ჰყავდა საერთაშორისო რეცენზენტი შემფასებლად. აღნიშნული პროგრამები ითხოვენ ერთი სტატიის მაღალრეიტინგულ ინგლისურენოვან ჟურნალებში გამოქვეყნებას. „გამოყენებითი ეკონომიკა“ აკრედიტებულია ძველი სტანდარტებით, თუმცა თანახელმძღვანელის ინსტიტუტი ამ პროგრამაში მაინც გათვალისწინებულია, მსგავსად განათლების სადოქტორო პროგრამისა. ახალი სტანდარტებით აკრედიტირების შემდეგ მათშიც პირდპირ განისაზღვრება საერთაშორისო რეცენზტის აუცილებლობის პირობა. უნივერსიტეტში დღეისათვის მოქმედ ყველა სადოქტორო პროგრამაზე წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენის (B2) დონეზე ცოდნა. მისაღები გამოცდის ტესტი ითვალისწინებს ოთხივე კომპონენტის (საუბარი, წერა, მეტყველება და მოსმენა). აგრარული მიმართულების დოქტორანტი იმყოფებოდა ბელგიაში საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით.გარდა ამისა, გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი მიწვეული იყო ქალაქ ვენაში ჟიურის წევრად.
დასკვნაში ასახულ 6.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებამ 2018 წელს გაიარა ავტორიზაცია, მაშინაც იყო მსგავსი რეკომენდაცია გაცემული. ერთი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის პერსონალი გადამზადდა. მაშინ, როდესაც 2023 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აკადემიურ პერსონალს შესთავაზა ინგლისურ ენაში გადამზადების რამდენიმეთვიანი შესაძლებლობა, პრეტესტის საფუძველზე შეიქმნა სამი დონის ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და მათზე მუშაობას. ექსპერტებმა საუკეთესო პრაქტიკად აღნიშნეს დაწესებულების სისტემატური მონაწილეობა საერთაშორისო აქტივობებში. ამ მიმართულებით უნივერსიტეტი მეოთხე ადგილზეა. შესაბამისად, დაწესებულებისთვის გაუგებარი იყო 6.2.4 რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. 6.2.5 რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ იზიარებს. პერსონალისთვის სისტემატურად ტარდება ტრენინგები სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შესახებ. ამას ემსახურება ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის პროგრამაც, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ჩამოიყვანა ტრენერები, რომლებმაც კომერციალიზაციის მხარდაჭერის საკითხებზე აკადემიურ პერსონალს ჩაუტარეს ტრენინგები. ნუნუ გელდიაშვილმა 6.3.1 რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ

2018 წლის შემდეგ დაწესებულებაში შეფასების მექანიზმის წესი რამდენჯერმე შეიცვალა. იმისათვის, რომ შეფასების მექანიზმი კიდევ უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სპეციალური წესი აკადემიური პერსონალის შეფასების შესახებ, რომლის მესამე მუხლი ეთმობა მხოლოდ პროდუქტების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტი ატვირთულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს. 6.3.2 რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულების შეფასების სისტემა არ წარმოადგენს სიღრმისეულ ანალიზს და ემყარება ერთი წლის მონაცემს. ნუნუ გელდიაშვილის თქმით, შეფასების სისტემა ეყრდნობა არა ერთი წლის, არამედ სამი წლის მონაცემს. გარდა ამისა, ეს დოკუმენტი მოიაზრებს როგორც გარე, ისე ხარისხობრივ შეფასებას. შიდა შეფასების პროდუქტიულობა არ არის რაოდენობრივ მაჩვენებელზე დაყრდნობილი და აჩვენებს ხარისხობრივ ზრდას. ადმინისტრაციისათვის აღნიშნული ფორმა მიანიშნებს თითოეული პერსონალის ხარისხობრივ განვითარებაზე, რადგან ნათლად წარმოაჩენს პერსონალის მაღალრეიტინგულ გამოცემებში პუბლიკაციას, ციტირების ინდექსს, დოქტორანტის ხელმძღვანელობას და ა.შ. სასწავლო მიმართულებით უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტრატეგიული დაგეგმარების ინსტრუქციის მიხედვით ახალი სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მუშაობის დაწყების აუცილებელი წინაპირობა არის წინა სტრატეგიული დაგეგმარების SWOT ანალიზი. ვიზიტის დროს ეს დოკუმენტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი არ იყო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვებ ი.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:11 საათი.

დასრულების დრო: 15:31 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 674-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 231187168) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 674-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 20 სექტემბერს.

საბჭომ გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებული ჩატარდეს ფორმალური SWOT ანალიზი დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლების ჩართულობით, რათა გამოვლინდეს შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება ძირითადი სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისა და საგანგებო გეგმის მომზადების საფუძველი გახდეს.
2. რეკომენდებულია უწყვეტობის უზრუნველყოფაა და ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესში. გათვალისწინებულ იქნას მონიტორინგის პროცესის კოორდინაციის დაკისრება რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულსთვის.
3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ სამოქმედო გეგმაში შემავალი ყველა აქტივობა შეიცავდეს საბიუჯეტო პროგნოზს, შეფასებად მაჩვენებლებს და სამოქმედო გეგმას, მიზნობრივ ინდიკატორებსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტს შორის არსებობდეს შესაბამისობა.
4. რეკომენდებულია, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მთავარი ფუნქცია იყოს პერსონალის განვითარება. ეს ფუნქცია უნდა მოიცავდეს როგორც უნივერსიტეტის ზოგად მართვასა და მხარდაჭერას, ისე ცალკეული ფაკულტეტების საჭიროებებს.
5. რეკომენდებულია, ყველა ფუნქცია ეფექტურად სრულდებოდეს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის გადაფარვის გარეშე. გადაიხედოს შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება. მისი ძირითადი ამოცანები უნდა იყოს ფინანსური კონტროლი, მუშაობის ეფექტიანობის ზრდა და წესების დაცვის უზრუნველყოფა. ამავდროულად, არ მოხდეს მისი ფუნქციების გადაფარვა ფაკულტეტებისა და მათი აკადემიური ავტონომიის ფუნქციებთან; შეიზღუდოს სამსახურის ჩარევა სასწავლო პროცესში (ლექციებისა და სემინარების მონიტორინგი), რათა ფაკულტეტის მოვალეობებს არ შეექმნას წინააღმდეგობა. სამაგიეროდ, გაძლიერდეს მისი როლი მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში, ფინანსური კონტროლისა და რისკების მართვის მუდმივი, დამოუკიდებელი ზედამხედველობის გზით.
6. რეკომენდებულია შეიქმნას ისეთი მექანიზმები რომლის მეშვეობითაც დამოუკიდებელი ჯგუფი ან კომიტეტი რეგულარულად შეამოწმებს შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობას. ეს ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. ასეთი ზედამხედველობა უნდა მოიცავდეს პერიოდულ შეფასებებს იმისა, თუ რამდენად უწყობს ხელს სამსახური უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას და როგორ იცავს ეთიკურ ნორმებს. ეს მონიტორინგი გულისხმობს პერიოდულ შეფასებებს, როგორია დეპარტამნტის გავლენა უნივერსიტეტის მიზნების მიღწევაზე და იცავს თუ არა ეთიკურ სტანდარტებს.
7. რეკომენდებულია გაიზარდოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტისა და კარიერული სერვისების პერსონალის რაოდენობა, რათა მათი მუშაობა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და უზრუნველყოფილ იქნას ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისების ეფექტურად და ქმედითად მიწოდება.
8. რეკომენდებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის, მათ შორის შესაბამისი საგანმანათლებლო კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების და უნარების ჩათვლით. ეს კრიტერიუმები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს და გამოიყენებოდეს დანიშვნის პროცესში. დააწესეთ ფორმალიზებული გამჭვირვალე პროცესი დეპარტამენტების ხელმძღვანელების დასანიშნად, რომელიც დაფუძნებული იქნება დამსახურებასა და კვალიფიკაციაზე; ეს პროცესი უნდა მოიცავდეს განხილვის კომიტეტის შექმნას, რომელიც შეაფასებს კანდიდატებს განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

9. უნივერსიტეტის ბიზნესის უწყვეტობის გეგმის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია დაინერგოს შემდეგი მექანიზმები: თანმიმდევრული დაგეგმვა, თანამშრომელთა კროს-ტრენინგი და ახალი კადრების სწრაფი ინტეგრაციის პროცედურები. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების სტაბილურობასა და მომსახურების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას კრიზისულ პერიოდებში.
10. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გასაძლიერებლად ფაკულტეტებს უნდა მიეცეთ უფლებამოსილება, გამოიჩინონ ინიციატივა საერთაშორისო პროექტებში ჩართვისთვის. მკაფიო წახალისების სისტემისა და თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო ინიციატივებში, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის პროცესისადმი უფრო კომპლექსურ მიდგომას. ამ ცვლილებების განხორციელება გააუმჯობესებს პოლიტიკის ეფექტურობას და უკეთ შეუსაბამებს მას უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზნებს.
11. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც გაითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ შეფასების კრიტერიუმებს.
12. რეკომენდებულია PDCA ციკლის სრულად შესრულების უზრუნველყოფა შესაბამისი ერთეულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობითა და მონიტორინგის ქვეშ.
13. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითად მიზნად ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება იქცეს (რაც გულისხმობს ორგანიზაციის ყველა დონეზე ხარისხზე პასუხისმგებლობის გაზიარებას და მრავალმხრივი შეფასების მეთოდების დანერგვას).
14. რეკომენდებულია რეგულარულად ჩატარდეს სასწავლო რესურსების საჭიროებების ყოვლისმომცველი ანალიზი. ეს პროცესი უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო მასალების განახლებას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებას.
15. რეკომენდებულია საერთაშორისო რესურსების ინტეგრაციის გაძლიერება და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა უფრო ფორმალურად პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების ხარისხისა და აქტუალურობის ამაღლებას.
16. რეკომენდებულია სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესის გადახედვა და სტუდენტების სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინების უზრუნველყოფა.
17. რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების სტუდენტზე ორიენტირება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობასა და აქტიურ სწავლას.
18. რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, რაც სტუდენტებს მეტ შესაძლებლობას მისცემს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. განიხილეთ პროფესიონალების მოწვევა რეგიონული კერძო და საჯარო სექტორიდან, ისევე როგორც დარგის საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, რათა მათ გაუზიარონ დარგობრივი გამოცდილება სტუდენტებს აუდიტორიაში და დაამყარონ კავშირები აკადემიურ წრეებთან
19. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის შრომითი ხელშეკრულებები სრულად შეესაბამებოდეს საქართველოს შრომით კანონმდებლობას; აღნიშნული გულისხმობს როგორც მატერიალურ, ასევე ფორმალურ შესაბამისობას. აღნიშნული მოიცავს უნივერსიტეტის მიერ უკვე გაფორმებულ და სამომავლოდ გასაფორმებელი ხელშეკრულებების გადახედვას. კანონმდებლობის შესაბამისად, სრულად უნდა იყოს

აღწერილი შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები, მათი შინაარსი და პირობები. 2020 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების და დასაქმებულის გაზრდილი გარანტიების გათვალისწინებით, აუცილებელია არსებულ პერსონალთან ახალი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

20. რეკომენდებულია, ხელშეკრულებაში მკაფიოდ ჩაიწეროს და გაიმიჯნოს დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო აღწერილობა, ზეგანაკვეთური სამუშაოს პროცედურა, შვებულების მიღების წესი და პირობები, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი და პროცედურა. შესაბამისად, რეკომენდებულია, სწორად და სრულყოფილად შემუშავდეს საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი და პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების მიერ მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია - მოვალეობების შესრულებას.
21. რეკომენდებულია მოწვეული პერსონალის ღია კონკურსის გზით აყვანის პრაქტიკის დანერგვა, იმისათვის რომ უსდ-ს ქონდეს წვდომა კანდიდატების უფრო დიდ ჯგუფზე.
22. რეკომენდებულია, პროფესიული განვითარების ცენტრმა გამოავლინოს, დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება დამსაქმებელთა (როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) ინდივიდუალური საჭიროებების კვლევის საფუძველზე. გაიზარდოს დაგეგმილი აქტივობების სიხშირე და რაოდენობა.
23. აუცილებელია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება და თანამშრომელთა შერჩევის პროცესში ენობრივი კომპეტენციის საკითხის გათვალისწინება (ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაციის მიზნების გათვალისწინებით).
24. რეკომენდებულია, განხორციელდეს აკადემიური პერსონალის უწყვეტი ტრენინგი და/ან გადამზადება თანამედროვე სწავლების მეთოდებში და ამ მეთოდების დანერგვაში, პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად, მათ შორის ტექნიკური უნარების ჩათვლით.
25. რეკომენდებულია პერსონალის ანგარიშგების მექანიზმების გაძლიერება სამუშაო დატვირთვის შესაბამისად. 4.2.2 დისციპლინური ზომების გამოყენების საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია, აღნიშნული დეტალურად იყოს გაწერილი უნივერსიტეტის შინაგანაწესში.
26. რეკომენდებულია, პერსონალს დროულად და სრულყოფილად მიეწოდოს ინფორმაცია დატვირთვის განაწილებისა და დატვირთვის სქემით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგების შესახებ.
27. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამებზე პერსონალის დატვირთვის საათები თანაბრად იყოს განაწილებული, ყოველკვირეული განრიგის ფარგლებში, იმისათვის რომ, სტუდენტებს ჰქონდეთ მაქსიმალური შეუფერხებელი წვდომა სასწავლო პროცესზე.
28. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების დაცვის სხვადასხვა მექანიზმებთან დაკავშირებით.
29. უსდ - მ უნდა გაზარდოს და გაამრავალფეროვნოს სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობები, მათ შორის წაახალისოს პროექტები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარება ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებაში.
30. რეკომენდებულია, კვლევის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, კვლევითი პუბლიკაციების პროდუქტიულობის გაზრდა და კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში გათვალისწინება. აღნიშნული გულისხმობს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, კვლევითი პროექტებისთვის დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფას და სადოქტორო პროგრამების და კვლევითი პუბლიკაციებისთვის ახალი სტანდარტების დანერგვას.
31. რეკომენდებულია მაღალი ხარისხის სადოქტორო კვლევის და გამოქვეყნების უზრუნველყოფა, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად განისაზღვროს ყველა დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ნაშრომების ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების

ვალდებულება მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ISSN კოდი და საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი).

32. რეკომენდებულია დოქტორანტების მიერ თავიანთი ხელმძღვანელების შეფასების მექანიზმის შემუშავების წახალისება.
33. რეკომენდებულია, დოქტორანტების ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესში საერთაშორისო პროფესორების ჩართულობის დონის ამაღლება.
34. რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს დოქტორანტების მიღება, რომლებსაც ექნებათ ინგლისური ენის ცოდნის საკმარისი დონე, იმისათვის რომ განახორციელონ საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები, უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა და ხელი შეუწყონ სადოქტორო განათლების ინტერნაციონალიზაციას - ინგლისურენოვან გამოქვეყნებებს, (ინგლისურენოვან) საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო საზოგადოებასთან საერთო კომუნიკაციას. იდეალურ შემთხვევაში, სწავლის დასასრულს შესაძლებელია ინგლისური ენის ცოდნის დონე გაიზარდოს C1 დონემდე ან, სულ მცირე, მიღების დროს უნდა განხორციელდეს B2 დონის მოთხოვნის მონიტორინგი და აღნიშნული მოთხოვნის ზედმიწევნით დაცვა.
35. რეკომედებულია, აკადემიური პერსონალის შემდგომი მხარდაჭერა ინგლისური ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად, ვინაიდან ინგლისური ენის მცოდნე აკადემიური პერსონალის შესაბამისი რაოდენობის გარეშე, კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია დარჩება გამოწვევევად. რეკომენდებულია, უსდ-მ გააძლიეროს ძალისხმევა ახალგაზრდა მკვლევრების მოსაზიდად, რომლებიც შეძლებენ იმუშაონ აკადემიურ / სამეცნიერო პერსონალთან თანამშრომლობით.
36. რეკომენდებულია, დოქტორანტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო შესაძლებლობების გაზრდა.
37. რეკომენდებულია პერსონალი ჯეროვნად იყოს ინფორმირებული თესაუ-ის კვლევითი სტრატეგიის შესახებ და თუ როგორ შეუძლია აღნიშნულ საქმიანობას წვლილი შეიტანოს პრიორიტეტებში, როგორიცაა ინტერნაციონალიზაცია ან კომერციალიზაცია. შეიმუშავეთ ინტეგრირებული გეგმა (სამეცნიერო, ბიზნეს, სამართლებრივი, პერსონალის ცნობიერების ამაღლება და ა.შ.) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ ამ სტრატეგიულ პრიორიტეტებს.
38. რეკომენდებულია, პერსონალისთვის განსაზღვრული რეაგირების მექანიზმები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კვლევის მექანიზმების შეფასების წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს, დაიწყოს პერსონალის განმავითარებელი აქტივობებით, პერსონალის ინდივიდუალური განვითარების საჭიროებების / გეგმის იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას კვლევითი საქმიანობის შეფასების მიმართ და გამოიწვევს კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებას.
39. რეკომენდებულია უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმის შემდგომი განვითარება. აღნიშნულმა უნდა უზრუნველყოს უფრო ყოვლისმომცველ, სიღრმისეული ანალიზი, განვითარების სფეროების და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრა და არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება პერსონალის შეხვედრების ან მინიმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ. ანალიზი ასევე უნდა უკავშირდებოდეს დაწესებულების კვლევის სტრატეგიას.
40. საჭიროა პერსონალთან უფრო მკაფიო კომუნიკაცია კვლევითი საქმიანობის შეფასების კუთხით, იმისათვის რომ, პირველ რიგში, პერსონალმა კარგად იცოდეს არსებული მექანიზმი და მისი შემდგომი პროცედურები და მეორეს მხრივ, როგორ უწყობს ხელს მათი საქმიანობა კვლევით საქმიანობას და დაწესებულების სტრატეგიას და როგორ არის შესაძლებელი მათი შემდგომი განვითარება.
41. რეკომენდებულია განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა.

42. რეკომენდებულია, ინვესტიციის გამხორციელება ვენახების ირგვლივ საბაზისო ინფრასტრუქტურის მოწყობაში, საპირფარეშოების, თავშესაფრების და საწყობების გათვალისწინებით. აღნიშნული გააუმჯობესებს სასწავლო გარემოს პროგრამის სტუდენტებისთვის.
43. რეკომნდებულია, სალექციო ოთახების და სხვა სასწავლო სივრცეების განახლება თანამედროვე ტექნოლოგიებით და აღჭურვილობით, რომლებიც სპეციფიკურია თითოეული პროგრამის საჭიროებებისთვის. მაგალითად, შექმენით სიმულაციური ლაბორატორიები ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისთვის და საკლასო ოთახების მოდელები მასწავლებლის მომზადების პროგრამისთვის.
44. რეკომენდებულია, დოქტორანტებისთვის ოთახების და აკადემიური პერსონალისთვის პირადი ოფისების გამოყოფა. აღნიშნული გაზრდის კვლევის პროდუქტიულობას და უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს აკადემიური საქმიანობისთვის.
45. რეკომენდებულია, მიუთითოთ კომპიუტერების და სხვა ტექნოლოგიური განახლებების რაოდენობა, რომლებიც დაგეგმილია მომდევნო სტრატეგიული განვითარების ციკლის განმავლობაში, თანდართულ ხარჯებთან ერთად. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ გეგმები თანამედროვე გარე / შიდა სარეკრეაციო სივრცეების და ინოვაციური სასწავლო სივრცის განვითარებისათვის, რათა ხელი შეუწყოს თანამშრომლობით და მონაწილეობით სასწავლო გარემოს. აღნიშნული მოიცავს ჯგუფური მუშაობის და არაფორმალური სასწავლო სივრცეების შექმნას.
46. რეკომენდებულია საპირფარეშოების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის: მოეწყოსთ ფართო შესასვლელები, დამონტაჟდეს საყრდენი სახელურები და გამოიყოს საკმარისი სივრცე ეტლით გადაადგილებისთვის; ასევე, მოაწყვეთ ინდივიდუალური საპირფარეშოები პირადი სივრცის დაცვისა და მარტივი გამოყენებისთვის.
47. რეკომენდებულია ადაპტირებული სპორტული პროგრამების შემუშავება და უზრუნველყავით, რომ სტუდენტური კლუბები, ორგანიზაციები და კამპუსის ღონისძიებები იყოს ინკლუზიური და ტარდებოდეს ხელმისაწვდომ ადგილებში, საჭიროების შემთხვევაში ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ჟესტური ენის თარჯიმნები და სუბტიტრები.
48. რეკომენდებულია ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, რათა ის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
49. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, რომლებიც უკავშირდება უნივერსიტეტის პრიორიტეტებს.
50. რეკომენდებულია, თესაუ-ს ვებგვერდის განახლება და ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენა (3.3 და 5.1 კომპონენტების აღწერილობითი ნაწილის მიხედვით), ასევე უზრუნველყავით ვებგვერდის ხელმისაწვდომობა ინგლისურენოვანი მომხმარებლებისთვის, თესაუ - ს საერთაშორისო ამბიციების გათვალისწინებით.
51. რეკომენდებულია, მართველობით კომპონენტზე ორიენტირებული ბიუჯეტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტებისთვის სახსრების გამოყოფას დაკავშირებულს შესაბამის განვითარების გეგმებთან და ცალკეულ ქვებიუჯეტებთან ძირითადი კვლევითი და განმავითარებელი პროექტებისთვის.
52. რეკომენდებულია თესაუ-მ უზრუნველყოს 3-წლიანი ცვალებადი ბიუჯეტის პროგნოზების შემუშავება, რომელიც ასახავს მის განვითარებას სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიხედვით.
53. რეკომენდებულია მეტი სახსრების გამოყოფა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან, პერსონალის განვითარებასთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებული აქტივობებისთვის.

54. რეკომენდებულია ბიბლიოთეკის სივრცის ადაპტაციისთვის სახსრების გამოყოფა, როგორც ეს შემოთავაზებულია 7.2 პუნქტში.

მეორე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთან მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი, ვაიდოტას ვილიუნასი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების შესახებ დასკვნა იყო დადებითი. მისი თქმით, ოთხი სტანდართი შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“ და სამი სტანდარტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“, თუმცა დაწესებულების მიმართ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.
ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამისად, არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ გადაიხედა 3.3.1 რეკომენდაცია სამედიცინო პროგრამის შესახებ და გადავიდა რჩევაში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნივერსიტეტმა სხვა ქვეყნების მსგავსად უნდა გაზარდოს პროგრამებზე დაშვების ზღვრული ბარიერი, რაც ამჟამად კანონის ფარგლებში წარმოადგენს 51 პროცენტზე მეტ ქულას. სასურველია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ეს გარემოება, თუ ამ ცვლილებასთან გამკლავებას შესძლებს. ვაიდოტას ვილიუნასმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სხვა დანარჩენი რეკომენდაციები დატოვა უცვლელად, რადგან ისინი პირდაპირ უკავშირდება ავტორიზაციის სტანდარტებს, ბოლონიის პროცესისა და „უმაღლესი განათლების ევროპული

სივრცის“ ხარისხის სტანდარტებს, რომლის ნაწილი საქართველოც არის. ყველა რეკომენდაცია გაიცა გასაუბრებების შედეგების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როგორც საჯარო, ისე კერძო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფა, კვლევა, სერვისი და გამჭვირვალობა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტი არის ძლიერი და მოტივირებული თანამშრომლებით დაკომპლექტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც შეუძლია გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულება და საერთაშორისო ასპარეზზე ცნობად უნივერსიტეტად ჩამოყალიბება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავი ანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, გოჩა თუთბერიძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულება დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს განიხილავს, როგორც უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. რეკომენდაციების ნაწილი ფაქტობრივად უკვე შესრულებულია, თუმცა ამ განხილვის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებასა უნივერსიტეტი ისევე ზედმიწევნით გაითვალისწინებს და შეასრულებს, როგორც ეს წინა ავტორიზაციის შემთხვევაში იყო.
უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ 2018 წლიდან დღემდე უნივერსიტეტი რადიკალურად შეიცვალა, კერძოდ, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების თვალსაზრისით. ბოლო წლებში უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი პროგრამების უმრავლესობა აკრედიტაციას გადის წარმატებით. დაწესებულება ზედმიწევნით მიყვება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ხუთივე პრიორიტეტს.
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს და ითვალისწინებს გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების უმეტესობას, თუმცა უნივერსიტეტის სტრუქტურასთან დაკავშირებულ პირველ რეკომენდაციასთან მიმართბით აღნიშნა, რომ პრეზიდენტი არ არის ჩართული აკადემიურ საქმიანობაში და სქემის ნაწილს ამიტომ არ წარმოადგენს. მისი ფუნქციები მოიცავს ბიუჯეტის დამტკიცებასა და რექტორის დანიშვნას. უნივერსიტეტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ფაკულტეტების სტრუქტურის მთლიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეტანა, თუმცა ეს რეკომენდაცია მარტივად შესრულებადია და რეალურად არ ცვლის დაწესებულების საქმიანობას.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ვიცე-რექტორმა განაცხადა, რომ ის ფუნქციები, რომელიც პრეზიდენტს გააჩნია, შესაბამის დოკუმენტებში უკვე გაწერილია. მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით მას ასევე განმარტა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია შემუშავებულია პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობით და მათთან აქტიური შეხვედრების გზით. შესაბამისად, მეთოდოლოგიაში ისეთი მონაცემების მოგროვებაზეა საუბარი, რომლის მიღებაც პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობის გარეშე შეუძლებელია, მაგალითად - პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით სალექციო და პრაქტიკული საათების რაოდენობა კენტ-ლუწ სემესტრებში, დიპლომირებული მედიკოსის შემთხვევაში ლაბორატორიაში ჩასატარებელი საათების რაოდენობა და ა.შ.
მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას და ამას ადასტურებს აფილირებული პერსონალისთვის შეთავაზებული განსაკუთრებული პირობების არსებობაც. უნივერსიტეტის წარმომაგდენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესთან და სტუდენტთა უფლებებთან დაკავშირებით ფაკულტეტების მიერ მუდმივად იმართება საინფორმაციო

შეხვედრები სტუდენტებთან. ასევე, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის საგამოცდო ცენტრის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის, იურიდიული სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომდგენლების მიერ. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულება მუშაობს ამ მიმართულებით, მიზანშეწონილი იქნება, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შეიცვალოს რჩევით. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრას პროგრამაზე. მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები უკვე დადგენილია. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით ექსპერტებს რაიმე შენიშვნა არ ჰქონიათ, თუმცა დასკვნაში საუბარი იყო პროფესორების მონაცემთა დეტალურად ჩაშლაზე, კერძოდ, რამდენი პროფესორი უნდა ყოფილიყო პროგრამაზე.
საგრანტო განაცხადის უარყოფასთან დაკავშირებით, სოფო ხუნდაძემ განმარტა, რომ უარყოფის საფუძველი განცხადებაში ე ჩანს და ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა ექსპერტებს მიაწოდა არგუმენტაცია. ამგავარად, სასურველია ეს რეკომენდაციაც გადავიდეს რჩევებში. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს, თუმცა, აღსანიშნავია უნივერსიტეტის მიერ ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯები. ამის დასტურია პარტნიორ უნივერსიტეტების რაოდენობის ზრდა და სტატისტიკური მონაცემები გაცვლითი პროგრამების შესახებ.
ასევე, დაწესებულება იზიარებს ნაშრომებში კვლევის კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. მუდმივად ტარდება, როგორც კვლევითი უნარების გაძლიერებასთან მიმართებით, ისე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით ტრენინგები. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა ბიუჯეტის წარმოდგენას ისე, რომ პროგრამის ბიუჯეტი ცალკე წაკითხულიყო. ბიუჯეტის პროცესი დეცენტრალიზებულია და დაგეგმილია პროგრამების საჭიროებებისა და მნიშვნელობების გათვალისწინებით. ბიუჯეტის ოფიციალურ ვერსიაში პროგრამების მიხედვით არ იყო ცალკე ჩაშლილი ბიუჯეტი, თუმცა ეს პრობლემა უკვე გამოსწორებულია და მიმდინარე აკადემიური წლის ბიუჯეტი შედგენილია ისე, რომ ცალკე ჩანს თითოეული პროგრამის ბიუჯეტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:09
დასრულების დრო: 16:24

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქუთაისის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 200-ით, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქ. ქუთაისი) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1^1 პუნქტი ს, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტს (ს/კ: 212677094) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1 200-ით, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის (ქ. ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 350-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 20 სექტემბერს.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს ორგანიზაციულ სტრუქტურას. გარდა ამისა, აღნიშნული მიმოხილვა უნდა ითვალისწინებდეს სტრუქტურის გრაფიკულ გამოსახულებაში პრეზიდენტის, ფაკულტეტის საბჭოების და კვლევითი ცენტრების ასახვას.
2. რეკომენდებულია, ქუთაისის უნივერსიტეტის დოკუმენტებში და მართვის სტრუქტურაში განისაზღვროს პრეზიდენტის თანამდებობა, უფლებამოსილება, ფუნქციები და პასუხისმგებლობა.
3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობა სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის პროცედურებში.
4. რეკომენდებულია პერსონალის შეფასების წესებს/რეგულაციებს დაემატოს სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი.
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის რეიტინგის და სამეცნიერო იმიჯის გაზრდას, სასწავლო პროცესის და კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.
6. რეკომენდებულია პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება, რათა თითოეულ პროგრამაზე უზრუნველყოფილ იქნას პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ-პროფესორების შესაბამისი რაოდენობა. უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს პერსონალის სამიზნე ნიშნულების გასაუმჯობესებლად, იმისათვის რომ ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის/ სტუდენტების თანაფარდობის დაგეგმვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.
7. რეკომენდებულია და აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, ყველა სტუდენტის ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მათი უფლებების შესახებ.
8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს საგრანტო განაცხადების უმეტესი ნაწილის უარყოფის მიზეზები და მიიღოს ზომები აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, კერძოდ, გააქტიუროს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები.

10. რეკომენდებულია, კვლევით პროექტებში და ნაშრომებში შედარებითი კვლევის კომპონენტის გაძლიერება.
11. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიურ პერსონალს შესთავაზოს მათი მოღვაწეობის სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო აქტივობები.
12. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთის შეიმუშაოს დეტალური ბიუჯეტი, იმისათვის რომ ზუსტად ასახოს პროგრამებთან დაკავშირებული ფინანსური რეალობები.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 20 სექტემბერს, 16:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ